

მაგისტრატურის საგამოცდო ტესტები
სპეციალობა - „საერთაშორისო ურთიერთობები“

1. ტრანსნაციონალიზმის მომხრეები მიიჩნევენ, რომ
 1. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა იყო და დღესაც არის მსოფლიო პოლიტიკის საფუძველი.
 2. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა აღარაა მსოფლიო პოლიტიკის საფუძველი.
 3. სახელმწიფოებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის ურთიერთობაა მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი.
 4. ინდივიდუალური ურთიერთობებია საერთაშორისო არენაზე განმსაზღვრელი.

2. საერთაშორისო ურთიერთობების დეტერმინისტული გააზრება გულისხმობს
 1. საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების მიზეზ–შედეგობრივი კავშირით ახსნას.
 2. საერთაშორისო ურთიერთობების შემთხვევითი ფაქტორებით ახსნას.
 3. საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მიზანმიმართულ განვითარებას.
 4. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

3. დეტერმინისტული გააზრების თანახმად ცალკეული ინდივიდის მოქმედება მაკროსოციალურ პროცესებზე
 1. სერიოზულ ასახვას პოვებს.
 2. მნიშვნელოვნად არ აისახება.
 3. ნაწილობრივ აისახება.
 4. საერთოდ არ აისახება.

4. სინერგეტიკა არის

1. მეცნიერება ქაოსიდან წესრიგის აღმოჩენის შესახებ, თვითორგანიზაციის შესახებ.

2. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ფორმა.

3. საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმა.

4. იდეალისტური მოძღვრება.

5. მეცნიერი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ბიფურკაციის წერტილებში დეტერმინისტული აღწერა შეუძლებელია

1. ჰანს მორგენტაუ.

2. ქენეთ უოლცი.

3. ილია პრიგოჟინი.

4. ჯორჯ ქენანი.

6. ბ. რასეტი და ხ. სტარი მიიჩნევენ, რომ იმ შემთხვევაში თუ თეორიული გამოკვლევები საერთაშორისო ურთიერთობებში განვითარებული იქნებოდა უკეთ ვიდრე დღესაა

1. მეცნიერები მივიდნენ არა კანონთა ფორმულირებასთან, არამედ ალბათობასთან.

2. მეცნიერები გამოიტანდნენ დასაბუთებულ საბოლოო დასკვნებს.

3. მეცნიერები ვერავითარ დასკვნებს ვერ გააკეთებდნენ.

4. მეცნიერები გამოიყენებდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებს.

7. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რაიმონ არონი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მოღვაწეობა ეფუძნება

1. საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებათა ცოდნას.

2. საერთაშორისო ურთიერთობების ადამიანთა გამოუცნობ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ ალბათობებს.

3. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.
4. გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობებს.

8. ვის ეკუთვნის საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებების კლასიფიკაცია, სადაც ჩამოთვლილია რვა ძირითადი კანონზომიერება და სადაც მხოლოდ ერთი ეხება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს?

1. მორტონ კაპლანს.
2. კარლ დოიჩს.
3. ჟან ბატისტ დიუროზელს.
4. დევიდ სინგერს.

9. ვინ ჩამოაყალიბა ერთ–ერთმა პირველმა საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიური ასპექტები წიგნში „ომი და მშვიდობა ერებს შორის“

1. ჰანს მორგენტაუმ.
2. რაიმონ არონმა.
3. ჯორჯ ქენანმა.
4. რაინჰოლდ ნიბურმა.

10. „პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი“, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური ინტერესების ერთგვარ კონცეფციას ეკუთვნის

1. ჰანს მორგენტაუს.
2. ტომას ჰობსს.
3. ნიკოლო მაკიაველს.
4. ჯონ ლოკს.

11. ვის ეკუთვნის გამოთქმა „სისუსტის სიჭარბე მსოფლიოსათვის არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ძალის სიჭარბე“

1. რაინოლდ ნიბურს.
2. რაიმონ არონს.
3. ჯორჯ ქენანს.
4. ნიკოლას სპაიკმენს.

12. რა ართულებს საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებათა ზუსტ განსაზღვრას თანამედროვე ეტაპზე?

1. თანამედროვე მსოფლიო განვითარების დინამიკა, მსოფლიოში ღირებულებათა ერთიანი სისტემის არარსებობა.
2. საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ურთიერთთანამშრომლობა.
3. საერთაშორისო არენაზე მოქმედ ინდივიდთა განსხვავებული შეხედულებანი.
4. სახელმწიფოთა არათანმიმდევრული განვითარება.

13. ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთქმედებების, კონფიგურაციის განსაზღვრა ჯ. როზენაუს მიხედვით განპირობებულია

1. „პოსტსაერთაშორისო პოლიტიკის“ გლობალური სისტემის აღმოცენებით, სადაც ცალკეულ სტრუქტურებსა და საერთაშორისო მონაწილეებს შორის კონტაქტი სრულიად ახლებურად ხორციელდება.
2. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ახლებურად ჩამოყალიბებით.
3. საერთაშორისო სისტემის მრავალპოლარულობით.
4. ერთპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის ფორმირებით.

14. ბელგიელი მეცნიერის ა. სამუელის თვალსაზრისით კაცობრიობა შევიდა

1. ახალ ბიპოლარულ სისტემაში.
2. ბიპოლარულიდან კომპლექსურში.
3. ერთპოლუსიან სისტემაში.
4. საერთაშორისო სისტემურობის რღვევის პროცესში.

15. საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალური კანონზომიერებანი ეწოდება

1. საერთო ადამიანურ ფაქტორებზე დაფუძვებულ კანონზომიერებებს, რომლებიც უნდა პასუხობდნენ სივრცით–დროებით და სტრუქტურულ–ფუნქციონალური ხასიათის კრიტერიუმებს.
2. ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებულ ლანონზომიერებებს.
3. ინდივიდუალურ ფასეულობებზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს.
4. რელიგიურ ფასეულობებზე დაფუძნებულ კანონზომიერებებს.

16. უძველესი წერილობითი წყარო, რომელშიც მოცემულია სუვერენული პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობების დრმა ანალიზი, ეკუთვნის:

1. ნიკოლო მაკიაველს.
2. ლეონარდო ბრუნის.
3. თუკიდიდეს.
4. სოკრატეს.

17. თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორია“, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას იქცა:

1. ლიბერალიზმის უპირველეს წყაროდ.
2. რეალიზმის ერთ–ერთ პირველ წყაროდ.
3. მარქსიზმის წყაროდ.
4. რაციონალიზმის წყაროდ.

18. ბერძენი მოაზროვნე თუკიდიდე „პელოპონესის ომის ისტორიაში“ ეხება:

1. ათენელებსა და სპარტელებს შორის ბრძოლას.
2. ბერძნებსა და სპარსელებს შორის პოლიტიკურ დაპირისპირებას.
3. ბერძნებსა და მაკედონელებს შორის დაპირისპირებას.

4. ათენელებსა და თესალიელებს შორის დაპირისპირებას.

19. თუკიდიდე „პელოპონესის ომის ისტორიაში“ გვევლინება:

1. ძალის აპოლოგეტად.
2. გმობს ყოველგვარ ძალადობას.
3. ძალადობას მიიჩნევს სამწუხარო, მაგრამ გარდაუვალ რეალობად.
4. საჭიროების შემთხვევაში ძალადობას გამართლებულად მიიჩნევს.

20. თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორიაში“ როცა ორი პოლიტიკური ერთეული ერთმანეთს უპირისპირდება სამართალს მნიშვნელობა აქვს:

1. როცა ერთი მხარე აშკარად ძლიერია მეორეზე.
2. როცა ორივე მხარე თანაბარი ძალისაა.
3. როცა სხვა პოლიტიკური ერთეულები ცდილობენ მაგვარონ მათ შორის ურთიერთობა.
4. როცა მათ შორის უნდობლობა ძალიან მაღალია.

21. თუკიდიდეს შეხედულებებმა შედარებით დასრულებული ფორმა მიიღო:

1. მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი გენერლის კარლ ფონ კლაუზევიცის ნაშრომში „ომის შესახებ“.
2. ჰანს მორგენტაუს ნაშრომებში.
3. ედუარდ ქარის ნაშრომებში.
4. ჯორჯ ქენანის ნაშრომებში.

22. „ლევიათანი“ ეკუთვნის

1. ნიკოლო მაკიაველს.
2. ჰუგო გროციუსს.
3. ტომას ჰობსსს.

4. ჯონ ლოკს.

23. ტომას ჰობსის მიხედვით ადამიანი

1. ღვთაებრიობის და სილამაზის განსახიერებაა.
2. ეგოისტური არსებაა.
3. არსებობისათვის მებრძოლი, მაგრამ სამართლიანი და გონიერი არსებაა.
4. რევოლუციური იდეების განმასახიერებელი არსებაა.

24. ჰობსის მიხედვით ადამიანურ ბუნებაში ომის სამი ძირითადი მიზეზი ძვეს

1. მეტოქეობა, უნდობლობა, დიდების წყურვილი.
2. ნედლეულისათვის ბრძოლა, არსებობისათვის ბრძოლა, მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლა.
3. ადამიანის უფლებები, ადამიანთა სურვილები, ადამიანთა დაუოკებელი მისწრაფებები.
4. რელიგიურობა, ათეიზმი, რაციონალიზმი.

25. ჰობსის აზრით, „ომში ყველა ყველას წინააღმდეგ და თითოეული თითოეულის წინააღმდეგ“ – მიჰყავს ადამიანები:

1. გონივრულ გადაწყვეტილებამდე.
2. ბუნებრივ მდგომარეობამდე.
3. გამოუსწორებელ შეცდომებამდე.
4. ხელოვნურ მდგომარეობამდე.

26. ჰობსი თვლის, რომ ადამიანები მიდიან საზოგადოებრივ ხელშეკრულებამდე, რომლის შედეგიც იქნება

1. საზოგადოებრივი კეთილდღეობა.
2. მსოფლიოს ჰარომონიული განვითარება.

3. სახელმწიფო ლევიათანი.
4. სახელმწიფოს უთანაბრო განვითარება.

27. ლევიათანი ნიშნავს

1. საოცრებათა ქვეყანას.
2. ბიბლიურ ურჩხულს.
3. ბიბლიურ თქმულებას.
4. ბიბლიურ მოთხრობას.

28. მეჩვიდმეტე მეთვრამეტე საუკუნეებში თუკიდიდეს, მაკიაველისა და ჰობსის ტრადიციის სახესხვაობად საერთაშორისო პოლიტიკურ აზრში იქცა

1. პოლიტიკური წონასწორობის თეორია.
2. საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების თეორია.
3. მოდერნისტული თეორია.
4. პოსტმოდერნიზმი.

29. შვეიცარიელი იურისტის ემერიკ დე ვატელის მიხედვით ევროპა წარმოადგენს

1. ცალკეული პოლიტიკური ნაწილების გროვას.
2. ერთიან მთელს.
3. არაპროგნოზირებად პოლიტიკურ ერთეულს.
4. ანარქიულ პოლიტიკურ არენას.

30.დე ვატელი კერძო ინდივიდთა ინტერესებს ეროვნულ ინტერესებთან შედარებით

1. პირველ ადგილზე აყენებდა, რადგან ადამიანის უფლება უპირატესია.
2. მეორად მოვლენად მიიჩნევს.
3. ორივე ინტერესს თანაბრად განიხილავს.

4. საყოველთაოდ აღიარებს.

31. დე ვატელის მიხედვით პრევენციული ომი გაძლიერებული მეზობლის წინააღმდეგ

1. კანონიერი და სამართლიანია.
2. უსამართლოა.
3. იმაზეა დამოკიდებული, თუ რა წყობაა ამ სახელმწიფოში.
4. მიუღებელია, მაგრამ მაინც ხდება.

32. ვის ეკუთვნის ნაშრომი „ომის შესახებ“, სადაც ჩამოყალიბებულია მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური ტრადიციები, რომელიც თავის მხრივ რეალისტური ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს.

1. ქუინსი რაიტს.
2. რაინჰოლდ ნიბურს.
3. კარლ ფონ კლაუზევიცს.
4. რაიმონ არონს.

33. რას უკავშირებენ სხვაგვარი ტრადიციის ფორმირებას, რომელიც კლასიკური ტრადიციის პარალელურად მიმდინარეობდა

1. სტოიციზმის ფილოსოფიას და ქრისტიანობის განვითარებას.
2. შუა საუკუნეების სქოლასტიკას.
3. უნივერსიტეტების წარმოშობას.
4. უნივერსიტეტების ირგვლივ დავას.

34. კლასიკური ტრადიციის პარალელურად განვითარებულ ტრადიციაში მოცემული იყო:

1. ადამიანთა განსხვავებული ხედვები სამყაროზე.

2. ადამიანთა მრავალფეროვანი რელიგიური ფასეულობები.
3. ადამიანთა მოდემის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის იდეა.
4. ადამიანთა ინდივიდუალური ერთობა.

35. ესპანელი თეოლოგის–დომინიკანელი–ფრანცისკო დე ვიტორიოს შეხედულებებში პრიორიტეტი ეკუთვნის

1. საზოგადოებას.
2. ადამიანს.
3. სახელმწიფოს.
4. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს.

36. ტრაქტატი „მარადიული მშვიდობისათვის“ ეკუთვნის:

1. ემანუელ კანტს.
2. ფრიდრიხ ჰეგელს.
3. ფრიდრიხ შელინგს.
4. კარლ მარქსს.

37. კანტი თავის მსოფლმხედველობაში ეყრდნობოდა:

1. მორალსა და სამართლებრივ არგუმენტებზე დაფუძნებულ ფილოსოფიურ იდეებს.
2. ადამიანის რაობას, მის ეგოისტურ ბუნებას.
3. ადამიანთა მიერ შექმნილ პოლიტიკურ წყობას.
4. რეალისტურ კონცეფციას.

38. მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში წარმოშობილი კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც აქცენტს აკეთებს კაპიტალისტურ წარმოებასა და შრომით ექსპლუატაციაზე, ცნობილია:

1. ლიბერალიზმის სახით.
2. მარქსიზმის სახით.
3. რაციონალიზმის სახით.
4. რეალიზმის სახით.

39. კ. მარქსის თანახმად მსოფლიო ისტორია იწყება:

1. შუმერების ეპოქიდან.
2. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან.
3. კაპიტალიზმიდან.
4. რეფორმაციიდან.

40. ცნობილი სენტენცია, რომ „ეროვნული განკერძოებულობა და ხალხებს შორის განსხვავებულობა ბურჟუაზიის განვითარებასთან ერთად, თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებთან, მსოფლიო ბაზართან, ერთიან სამრეწველო წარმოებასთან და მასთან შესატყვის ცხოვრების პირობებთან ერთად ისპობა“ ეკუთვნის:

1. კანტსა და ჰეგელს.
2. ლენინსა და სტალინს.
3. მარქსსა და ენგელსს.
4. ანრი სენ სიმონსა და შარლ ფურიეს.

41. პარადიგმას უწოდებენ იმ საერთო სამეცნიერო მიდგომათა ერთობლიობას, რომელიც:

1. საერთოა ყველა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის.
2. ორიენტირებულია თეორიულ და ემპირიულ გამოკვლევაზე.
3. ხელს უწყობს ერთიანი „საბაზო“ შეხედულებების ჩამოყალიბებას.

4. რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ ტრადიციებზე.

42. პარადიგმათა შესახებ ტერმინი „კანონიკური“ ეკუთვნის:

1. კარი დოიჩს.
2. მორტან კაპლანს.
3. მაიკლ დოილს.
4. კალევი ჰოლსტს.

43. საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ ტრადიციებს შორის პირველი სამეცნიერო დისკუსია გაიმართა

1. პირველ მსოფლიო ომამდე.
2. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში.
3. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.
4. ცივი ომის შემდეგ.

44. ზოგიერთ შემთხვევაში იდეალიზმს უწოდებენ:

1. უტპიზმს.
2. პოზიტივიზმს.
3. ტრანსნაციონალიზმს.
4. რევოლუციონიზმს.

45. იდეალიზმმა პოლიტიკურ პრაქტიკაში ასახვა ჰპოვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ:

1. კომუნისტურ დოქტრინაში.
2. აშშ პრეზიდენტის ვუდრო უილსონის ერთა ლიგის პროგრამაში და „ბრიენის პაქტში“.
3. ნაცისტურ დოქტრინაში.

4. ანარქიზმში.

46. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იდეალისტური პარადიგმა აისახა ისეთი პოლიტიკოსების შრომებსა და მოღვაწეობაში როგორებიცაა:

1. ზბიგნევ ბჟეზინსკი, ჯონ დალერი, აშშ-ს პრეზიდენტი ჯიმ კარტერი.
2. რაიმონდ არონი, ჰენრი კისინჯერი, ჯორჯ ქენანი.
3. ქუინი რაიტი, მირტონ კაპლანი, კარლ დოიჩი.
4. ვალერშტაინი, კოქსი, გრამში.

47. სამეცნიერო ლიტერატურაში ლიბერალურ-იდეალისტურმა პარადიგმამ ასახვა ჰპოვა:

1. რანჰოლდ ნიბურისა და ჰანს მორგენტაუს შრომებში.
2. რ. კლარკისა და ლ. სონის შრომებში.
3. ვალერშტაინისა და კოქსის შრომებში.
4. ბ. რასეტისა და რ. სტარის შრომებში.

48. იდეალისტური პარადიგმის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილეები არიან:

1. სახელმწიფოები.
2. ტრანსნაციონალური კორპორაციები.
3. როგორც სახელმწიფოები, ასევე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ჯგუფები და კერძო ინდივიდები.
4. მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები.

49. ლიბერალურ-იდეალისტური პარადიგმის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობებში უმაღლესი ხელისუფლების არარსებობა არ ნიშნავს მის მუდმივ

1. ჰარმონიულ ურთიერთობების არსებობას.
2. წინააღმდეგობრივ განვითარებას.
3. ანარქიულობას.
4. განვითარებას.

50. ლიბერალები თვლიან, რომ საერთაშორისო მოთამაშეების პლურალიზმი უნდა გულისხმობდეს:

1. მათი მიზნების პლურალიზმსაც.
2. დიდი სახელმწიფოებისათვის მსოფლიო წესრიგის ფუნქციის მინიჭებას.
3. ადამიანის უფლებების დაცვას.
4. ტრანსნაციონალური კორპორაციების გააქტიურებას.

51. პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილეებია:

1. ტრანსნაციონალური კორპორაციები.
2. არასამთავრობო ორგანიზაციები.
3. კერძო ინდივიდები.
4. სახელმწიფოები.

52. საერთაშორისო ბიპოლარული სისტემა ხასიათდება:

1. ძალის ორი პოლუსის დომინირებით
2. ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირებით
3. სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირით
4. საერთაშორისო სისტემის სოციალური საფუძვლებით

53. პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების „ბუნებრივი მდგომარეობა“ ეწოდება:

1. საერთაშორისო ურთიერთობების დინამიურ ურთიერთობას, სადაც პოლიტიკურ პროცესებზეა დაფუძნებული ცვლილებები.
2. საერთაშორისო ურთიერთობების სტატიკურ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ სუბიექტთა ქცევა არ შეცვლილა უძველესი იმპერიებიდან მოყოლებული დღემდე.
3. საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ მდგომარეობას, სადაც ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი ძალზე მაღალია.
4. ისეთ მდგომარეობას, როცა ომები წარმოებს.

54. პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით:

1. საერთაშორისო პოლიტიკა ანარქიულ გარემოში წარმოადგენს ძალაუფლებისათვის ბრძოლას.
2. საერთაშორისო პოლიტიკა პოლიტიკური სიტუაციების მიხედვით იცვლება.
3. საერთაშორისო პოლიტიკა ეკონომიკური ურთიერთობებით რეგულირდება.
4. საერთაშორისო პოლიტიკა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრება.

55. პოლიტიკური რეალიზმის თანახმად:

1. სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და მათ ინტერესებში სრული ჰარომონიაა შესაძლებელი.
2. სახელმწიფოთა შორის შედარებით ნორმალური ურთიერთობებია შესაძლებელი.
3. სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებსა და ინტერესებს ნაციონალური ინტერესები განსაზღვრავს.
4. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს ეკონომიკა განსაზღვრავს.

56. საერთაშორისო ურთიერთობებში ქრისტიანული, მეცნიერული კონცეფცია ადამიანის ბუნების ასახვისა საზოგადოებრივ და შემდეგ საერთაშორისო ცხოვრებაზე ეკუთვნის:

1. ჰ. მორგენტაუს.
2. ფრედერიკ შუმანს.
3. არნოლდ უოლფერსს.
4. რაინჰოლდ ნიბურს.

57. მარქსისტული პარადიგმის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოქმედი პირები არიან:

1. ეკონომიკური ჯგუფები და კორპორაციები.
2. მსოფლიო ბურჟუაზია და საერთაშორისო მუშათა კლასი.
3. კერძო ინდივიდები.
4. სახელმწიფოები.

58. მარქსისტული პარადიგმის მიხედვით სახელმწიფო არის:

1. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილე.
2. საერთაშორისო არენაზე კონფლიქტების დამარეგულირებელი აქტორი.
3. მეორე რიგის საერთაშორისო მონაწილე – აქტორი.
4. საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიის გამომწვევი მონაწილე.

59. მარქსიზმის მიხედვით ბურჟუაზიის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა:

1. რევოლუციის მომზადება და განხორციელება.
2. მუშათა კლასის ექსპლუატაციის გზით ნედლეულის ახალი წყაროების მოპოვება.
3. საერთაშორისო პოლიტიკაში კონფლიქტების დარეგულირება.
4. საერთაშორისო პოლიტიკაში ძალთა ბალანსის შექმნა.

60. მარქსიზმის მიხედვით ნაციონალური სახელმწიფო

1. ბურჟუაზიამ შექმნა, როგორც თავისი კლასობრივი ბატონობის ინსტრუმენტი.
2. ქმნის ძალთა ბალანსს საერთაშორისო ურთიერთობებში.
3. ამკვიდრებს საერთაშორისო თანამშრომლობას.
4. საერთაშორისო ურთიერთობებში არის კონფლიქტის წყარო.

61. ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები“ პირველად გამოიყენა:

1. თუკიდიდემ
2. არტურ ტოინბმა
3. ჯერემი ბენტამმა
4. პ. რეინოლდსმა

62. საერთაშორისო სისტემის კონცეფცია გამომდინარეობს:

1. ამ სისტემის უნივერსალური დებულებიდან
2. საერთაშორისო სისტემის სისტემური ანალიზიდან
3. საერთაშორისო სისტემის შემადგენელი ელემენტებიდან
4. საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან.

63. საერთაშორისო ანარქია ნიშნავს:

1. საერთაშორისო სისტემის მრავალფეროვნებას
2. საერთაშორისო მონაწილეების სტრუქტურულ ცვალებადობას
3. საერთაშორისო სისტემაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოების თავიანთ თავზე მაღლამდგომი ხელისუფლების აღებას.
4. სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობათა ძირეულ სტრუქტურას, რომლის ჩარჩოებშიც შეიძლება იყოს მრავალნაირი სისტემური ვარიაციები.

64. დაასახელეთ რეალიზმის თანამედროვე სახესხვაობა საერთაშორისო ურთიერთობებში

1. ნეოლიბერალიზმი
2. ნეოკომუნიზმი
3. ნეორეალიზმი
4. ინდივიდუალიზმი.

65. მულტიპოლარული სისტემა ეწოდება სისტემას, სადაც:

1. ერთი ძლიერი სახელმწიფო დომინირებს და ყველა დანარჩენი ცდილობს მასთან სიტუაციის დაბალანსებას
2. ორი ძლიერი სახელმწიფოა წამყვანი და მსოფლიო აქტორებიც მას უწევენ ანგარიშს
3. სამი და მეტი უძლიერესი სახელმწიფო დომინირებს და სუსტ ქვეყნებს უკვე მეტი მანევრირების საშუალება აქვთ
4. საერთაშორისო თანამშრომლობა ჰარმონიულად ვითარდება

66. საერთაშორისო კავშირის შექმნის ერთ–ერთი ძირითადი მიზეზია

1. კულტურული განვითარება
2. საერთაშორისო მონაწილეების უკეთ გაცნობა
3. მსოფლიო ჰეგემონობისაკენ მისწრაფება
4. პასუხი გარეშე საფრთხეზე

67. მისწრაფებას მშვიდობიანი სოლიდარობის პრინციპზე დამყარებული მსოფლიოს შექმნისაკენ ეწოდება:

1. დემოკრატიული განვითარების თეორია
2. დემოკრატიული სოლიდარობის თეორია
3. დემოკრატიული მშვიდობის თეორია

4. დემოკრატიული ფასეულობების თეორია

68. ტრადიციული და რეფლექსური ინტერპრეტაციები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში უკავშირდება:

1. საერთაშორისო ურთიერთობებში ეთიკურ განზომილებას
2. საერთაშორისო ურთიერთობებში უსაფრთხოების პრობლემას
3. საერთაშორისო ურთიერთობებში თანამშრომლობის იდეას
4. საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტების კვლევას

69. პოლიტიკურ წესრიგს, რომელიც სახელმწიფოთა სისტემის თანამედროვე დოქტრინიდან გამომდინარეობს, რომელიც გამოხატულია გაეროს ქარტიაში, ეწოდება:

1. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი.
2. ქარტიული წესრიგი.
3. მსოფლიო წესრიგი.
4. უნივერსალური წესრიგი.

70. ძალთა ბალანსის სისტემა, სადაც სამი ან მეტი სახელმწიფო აწონასწორებს და აკონტროლებს სისტემას დიპლომატიური საქმიანობის, კავშირების შექმნისა და ომის მეშვეობით, ევროპისათვის დამახასიათებელი იყო:

1. პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე.
2. ვესტფალიის (1648წ.) ზავიდან პირველ მსოფლიო ომამდე.
3. ცივი ომის პერიოდში.
4. ცივი ომის შემდგომ პერიოდში.

71. ნეორეალისტური და სტრუქტურალისტური სკოლის წარმომადგენელთა თანახმად საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს

1. საერთაშორისო სისტემის შინაგანი დინამიკა.

2. ეროვნული ინტერესები.
3. საერთაშორისო თანამშრომლობა.
4. საერთაშორისო წესრიგის სოციალური წყობა.

72. მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის წარმომადგენლები თვლიან, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აქვთ

1. ერთი საფუძველი – სახელმწიფო.
2. სახელმწიფო და საერთაშორისო თანამეგობრობა.
3. საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველები.
4. მსოფლიო ეკონომიკა.

73. ნეორეალისტური თეორიის ფუძემდებლად ითვლება

1. რაიმონ არონი
2. ჯოტჯ ქენანი
3. ქენეთ უოლცი
4. არნოლ ვოლფერსი

74. ნეორეალიზმის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათი განპირობებულია

1. ადამიანის ეგოისტური ბუნებით
2. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული
3. პოლიტიკურ რეჟიმებს შორის განსხვავებულობით
4. ბიპოლარული მსოფლიოს არსებობით

75. 1979 წელს უოლცმა გამოაქვეყნა

1. "საერთაშორისო პოლიტიკის თეორია"
2. "ახალი მსოფლიო წესრიგი"

3. "ადამიანი სახელმწიფო და ომი"
4. "ცივილიზაციათა შეხლა"

76. წიგნში "ადამიანი, სახელმწიფო და ომი" უოლცმა

1. განსაზღვრა ახალი მსოფლიო წესრიგის რეალობა
2. ბიპოლარული მსოფლიოს დროს იწინასწარმეტყველა კომუნიზმის კრაზი
3. ხაზი გაუსვა მეცნიერების განსაკუთრებულ როლს დემოკრატიის

გამარჯვებაში

4. მეცნიერები დააჯგუფა სამ ჯგუფად, რომლებიც კონფლიქტის მიზეზებს იკვლევდნენ

77. უოლცის აზრით საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა

1. წარმოადგენს განსაკუთრებულ ფენომენს, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოებს თავს მოახვიოს ეს თუ ის შეზღუდვა
2. პატარა სახელმწიფოებს ეხმარება საერთაშორისო არენაზე თვითდამკვირებაში
3. ანელებს საერთაშორისო დამაბულობას
4. ქმნის პირობებს საერთაშორისო საზოგადოების ფორმირებისათვის

78. ნეორეალიზმის თანახმად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული

მახასიათებლები უშუალოდაა დაკავშირებული

1. პატარა სახელმწიფოების დიდებთან ადაპტირებასთან
2. დიდი სახელმწიფოების ურთიერთქმედებასთან ფს ნაკლებად ეხება პატარა და საშუალო სახელმწიფოებს
3. საგარეო პოლიტიკური სფეროს უნიფიცირებასთან
4. საერთაშორისო თანამშრომლობასთან

79. ნეოლიბერალიზმის თანახმად პროგრესის უმთავრესი საფუძველია

1. დიდ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების დაცვა
2. საერთაშორისო თანამშრომლობა
3. ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირება
4. ბირთვული არსენალის შემცირება

80. ნიზურის კონცეფციის თანახმად "ადამიანი არა მხოლოდ ცოდვილია, არამედ

1. "ეგოისტიცაა"
2. "სიკეთით სავსეა"
3. "ღვთისნიერიცაა"
4. "რაციონალურიცაა"

81. რომელი სოციალურ-პოლიტიკური მიმდინარეობის მიზანია სახელმწიფოს მოსპობა და ხელისუფლების ნებისმიერი იძულებითი ფორმის შეცვლა მოქალაქეთა თავისუფალი და ნებაყოფლობითი ასოციაციით?

1. ლიბერალიზმი
2. ნაციონალიზმი
3. ანარქიზმი
4. კონსერვატიზმი

82. ამათგან რომელი იდეოლოგია მოუწოდებს საბაზრო ეკონომიკის, პიროვნების თავისუფლების და სახელმწიფო რეგულირების შეზღუდვისაკენ?

1. სოციალიზმი
2. არცერთი ჩამოთვლილთაგან
3. ლიბერალიზმი
4. ფაშიზმი

83. ამათგან რომელი იდეოლოგიისათვის არის პრიორიტეტული სტაბილურობა, ტრადიცია და მორალი, ხელისუფლებისადმი ლოიალურობა, ღმერთის რწმენა?

1. ლიბერალიზმი
2. კონსერვატიზმი
3. სოციალიზმი
4. ანარქიზმი

84. კ.მარქსის მიხედვით კლასობრივი განსხვავება ეფუძნება:

1. საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიერ წარმოების საშუალებების ფლობას
2. ეროვნული თვითგამორკვევისათვის სწრაფვას
3. ხელისუფლების ტრადიციულად ჩამოყალიბებულ იერარქიას, რომელიც ისტორიულად ეკუთვნის რომელიმე ჯგუფს
4. ინფორმაციის მასობრივ საშუალებებზე მონოპოლიას

85. იდეოლოგიებიდან რომლისათვის არის მიუღებელი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში კონკურენციის იდეა და მრავალპარტიულობა?

1. ლიბერალიზმი
2. ფაშიზმი
3. არცერთი ჩამოთვლილთაგან
4. კონსერვატიზმი

86. პოლიტიკური ლიბერალიზმის ფუძემდებელია:

1. ადამ სმიტი (Adam Smith)
2. ჯონ ლოკი (John Locke)
3. გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (Georg Wilhelm Friedrich Hegel)
4. თომას ჰობსი (Thomas Hobbes)

87. პოლიტიკური იდეოლოგია არის:

1. არცერთი ჩამოთვლილთაგან
2. ყოველდღიური პოლიტიკური ცნობიერება
3. თეორიული პოლიტიკური ცნობიერება
4. ყველაზე უფრო დამუშავებული და დოქტრინალურად გაფორმებული თეორიული პოლიტიკური ცნობიერების სისტემა

88. ჩამოთვლილთაგან რომელი იდეის მომხრეებმა ჩამოაყალიბეს სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია:

1. ლიბერალიზმის
2. ანარქიზმის
3. სოციალიზმის
4. კონსერვატიზმის

89. პოლიტიკური ცნობიერების მანიპულირების ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია პოლიტიკოსების ამბიციების მისაჩქმალად „ხალხის ნებით“ აპელირება:

1. პოლიტიკური იდეოლოგია
2. პოლიტიკური უტოპია
3. პოლიტიკური მითი
4. პოპულიზმი

90. შეხედულებების, იდეების სისტემის პოლიტიკის თეორიული ფორმით ასახვა ეს არის:

1. პოლიტიკური მენტალიტეტი
2. პოლიტიკური ფსიქოლოგია
3. პოლიტიკური იდეოლოგია
4. პოლიტიკური კულტურა

91. თანამედროვე პოლიტიკური დოქტრინა, რომლის მთავარი ორიენტირია ღირებულებები:პიროვნების ბუნებრივი უფლებებისა და თავისუფლებების სიწმინდე და ხელშეუვალობა, პიროვნების უფლებების პრიორიტეტი სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებზედ:

1. სოციალიზმი
2. ლიბერალიზმი
3. ფემინიზმი
4. კონსერვატიზმი

92. პოლიტიკური პარტიის ევოლუციის უახლოესი ტენდენციებია:

1. ყველა ერთად
2. პარტიების გარდაქმნა სოციალურ–კლასობრივი ორგანიზაციიდან ე.წ. „ყველას პარტიებად“, ანუ აცხადებენ პრეტენზიას, რომ არიან მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები
3. პარტიების სოციალური ბაზის გაურკვევლობა და არამდგრადობა
4. სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური და კონსერვატიული ელემენტების შეხამება ძირითადი პოლიტიკური პარტიების საპროგრამო დოკუმენტებში

93. ტერმინი იდეოლოგია პირველად გამოიყენა...

1. ეტიენ დე კონდილიაკმა (Étienne Bonnot de Condillac)
2. ნაპოლეონ ბონაპარტემ (Napoléon Bonaparte)
3. კარლ მარქსმა (Karl Marx)
4. ანტუან დესტიუტ დე ტრასიმ (Antoine Destutt de Tracy)

94. ვის ეკუთვნის სიტყვები: ძველებს, უკვე დადგენილის დამცველებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, ხოლო ახლის მესვეურებს და მდომელებს – ლიბერალებს

1. ნიკო ნიკოლაძეს
2. სოლომონ დოდაშვილს
3. ნოე ჟორდანიას
4. ილია ჭავჭავაძეს

95. მანამდე (მე-20 საუკუნის I მეოთხედი) “არც ერთი ქართველი ავტორის, მწერლის, მოაზროვნის ნაშრომები არ უთარგმნიათ უცხო ენაზე, არ გამოუციათ იმდენ ქვეყანაში და იმდენჯერ, როგორც ამ ქართველი ანარქისტის ნაშრომები: ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, რუსულად, იტალიურად, ესპანურად, ჩინურად, იაპონურად და სხვ.”, რომელ ქართველ ანარქისტზეა საუბარი?

1. გიორგი (კომანდო) გოგელია
2. ნესტორ კალანდარიშვილი
3. ვარლამ ჩერქეზიშვილი
4. მიხაკო წერეთელი

96. რომელი იდეოლოგია ეყრდნობა ფუნდამენტურ იდეებს: ტრადიციებისა და ქცევის ნორმების დაცვა, პრაგმატიზმი, იერარქია, ძალაუფლება და ავტორიტეტი, კერძო საკუთრება?

1. ფაშიზმი
2. კონსერვატიზმი
3. ფემინიზმი
4. სოციალ-დემოკრატია

97. რომელი იდეოლოგია ეყრდნობა ფუნდამენტურ იდეებს: ეკონომიკური დაგეგმვა, სოციალური კლასები, სოციალური თანასწორობა, საზოგადოებრივი საკუთრება?

1. სოციალ-დემოკრატია

2. ნეოლიბერალიზმი
3. კონსერვატიზმი
4. სოციალიზმი (კომუნიზმი)

98. რომელი იდეოლოგიის ძირითადი მახასიათებლებია?

სახელმწიფოს თაყვანისცემა; ტრადიციონალიზმი; რადიკალური, შოვინისტური ნაციონალიზმი; ვოლუნტარიზმი; მილიტარიზმი; ერის სიდიადე; პრაგმატული ანტისემიტიზმი; ბელადის თაყვანისცემა; პოპულიზმი ფართო მასებში.

1. სოციალიზმის
2. ფაშიზმის
3. კონსერვატიზმის
4. ანარქიზმის

99. კონსერვატიზმის პოლიტიკური სამშობლოა

1. გერმანია
2. რუსეთი
3. ესპანეთი
4. ინგლისი

100. ლიბერალიზმი როგორც პოლიტიკური აზრის მიმართულება, გამოჩნდა...

1. 13-14 ს.ს.
2. 20 ს.
3. 19 ს.
4. 17-18 ს.ს.

ლიტერატურა:

1. კვეტენაძე ზ., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბ., 2017.
2. პატარია დ., საერთაშორისო ურთიერთობები დისციპლინა და თეორია, თბ., 2015.
3. რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, მესამე შესწორებული გამოცემა, თბ., 2009.
4. რაიმონ არონი - „მშვიდობა და ომი ერებს შორის“.
5. საერთაშორისო ურთიერთობების ქრესტომატია.
6. კუპრაშვილი ჰ., ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობები თანამედროვე ევროპაში, თბ., 2016.
7. მაგშტატი მ. თ., გავიგოთ პოლიტიკა. იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები.
8. გოგიაშვილი ო., პოლიტოლოგია, თბ., 2004.
9. ჰეიუდნი ე., პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2004
10. კვესელავა ი., შუბითიძე ვ., პაპაშვილი მ., ლუდუშაური ნ., პოლიტოლოგია, თბ., 2010.

საკონტაქტო პირის ტელ: 598 33 22 05